N351 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

„ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში (სსმ, 2005 წ., მუხ. 1066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. ლიცენზიის მფლობელს 2012 წლის 1 იანვრამდე გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების ვადა განესაზღვროს 2015 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 აგვისტომდე გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების ვადა – 2016 წლის 1 აგვისტომდე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**